პოლიტიკური კულტურის პრობლემები საქართველოში

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზების ძიება

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EaP | Eastern Partnership

პოლიტიკური კულტურის პრობლემები საქართველოში - პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზების ძიება

2022 წლის მაისისა და ივნისის თვეებში, პროექტის - დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა საქართველოში - ფარგლებში დარგის სპეციალისტებთან გაიმართა დისკუსიები საქართველოში პოლიტიკური კულტურის საკითხზე. დისკუსიებში მონაწილეობდნენ გია ნოდია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერი), ემზარ ჯგერენაია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი), ნიკო მელიქაძე (პოლიტიკისა და სტრატეგიული აზროვნების სპეციალისტი), დავით ზურაბიშვილი (მწერალი და პოლიტიკის ანალიტიკოსი), ზაზა ფირალიშვილი (ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი) და დავით აფრასიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერი). დისკუსიებს უძღვებოდა სანდრო მეგრელიშვილი. საუბრების შინაარსი და ძირითადი მიგნებები მოცემულია წარმოდგენილ ანგარიშში. ანგარიში მომზადებულია სანდრო მეგრელიშვილის მიერ და ეფუძნება აღნიშნული საუბრების დროს გამოთქმულ მოსაზრებებს. ანგარიში გადასინჯულია დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის, დავით აფრასიძის მიერ.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სანდრო მეგრელიშვილი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Sandro Megrelishvili and do not necessarily reflect the views of the European Union.

GCSD

პოლიტიკური კულტურის პრობლემები საქართველოში - პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზების ძიება

დემოკრატიის თეორიაში პოლიტიკის კულტურას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიიჩნევა, რომ ის დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი განმაპირობებელია. დემოკრატიის კონსოლიდაცია მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ საზოგადოებაში გავრცელებულია შესაბამისი შეხედულებები, ღირებულებები და ქცევის ნორმები. აღნიშნული ვრცელდება საქართველოზეც, რომელიც კვლავინდებურად დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის მყოფ ჰიბრიდულ რეჟიმად რჩება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, ამის მთავარი განმაპირობებელი დემოკრატიისათვის შესაფერისი პოლიტიკური კულტურის არარსებობაა. თუმცა, რას ნიშნავს პოლიტიკური კულტურა, როგორია მისი სახე საქართველოში, რა მხრივ უშლის ხელს დემოკრატიის კონსოლიდაციას და როგორია პრობლემის დაძლევის გზები - კვლავაც წარმოადგენს დისკუსიისა და კამათის საგანს. მოწვეულ სტუმრებთან საუბარი სწორედ ამ საკითხებს შეეხო, რომლის დროსაც შევეცადეთ მოგვეძებნა პასუხები ამ მნიშვნელოვან კითხვებზე.

საუბარი პოლიტიკური კულტურის ცნების განმარტებით და საქართველოში პოლიტიკური კულტურის შეფასებით დაიწყო. მონაწილე ექსპერტებმა პოლიტიკური კულტურის რამდენიმე ალტერნატიული განმარტება წარმოადგინეს. პოლიტიკის მეცნიერ **გია ნოდიას** თქმით, ზოგადად კულტურაში, შეგვიძლია გამოვარჩიოთ, ერთი მხრივ, შეხედულებები, რწმენები, ღირებულებები და ნორმები, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვევები ანუ რუტინული ქცევები

სხვადასხვა ტიპურ, მათ შორის, პრობლემურ სიტუაციებში. პოლიტიკის კულტურა კი კონკრეტულად იმ ღირებულებებისა და ჩვევების ერთობლიობაა, რომლებიც საჯარო სივრცეში ქმედებას ეხება. ღირებულებები მნიშვნელოვანია, რადგანაც ის ამაგრებს, ლეგიტიმაციას აძლევს ქცევებს. გია ნოდიასვე შეფასებით, საქართველოში, როდესაც პოლიტიკური კულტურის დემოკრატიის მოდელთან შესაბამისობაზე ვსაუბრობთ, პრობლემა სწორედ ქცევით ჩვევებში გვაქვს, და ნაკლებად ღირებულებებში. მისი თქმით, საზოგადოების უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ დემოკრატია უნდა გვქონდეს, არჩევნები უნდა ტარდებოდეს, სიტყვის თავისუფლება დაცული უნდა იყოს და ა.შ. ანუ ერთი შეხედვით, ღირებულებების მხრივ არსებითი პრობლემა არ არსებობს. მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ ჩვევებიც შესაბამისია. სწორედ ეს უკანასკნელია

პრობლემური და დემოკრატიასთან შეუსაბამო.

პოლიტიკური კულტურის განსხვავებული ხედვა წარმოადგინა სოციოლოგმა **ემზარ ჯგერენაიამ.** მისი თქმით, პოლიტიკა არის კულტურის ნაწილი, კულტურა კი, თავის მხრივ, არის ადამიანების ძალისხმევით

ემზარ ჯგერენაია

შექმნილი, ხელოვნური, ის, რაც გენეტიკურად არ გადაიცემა. ამ განმარტებისთვის არსებითია ის, რომ ადამიანებს დასაბამიდან უდგათ თანაცხოვრების პრობლემა. ბუნებით, ადამიანს მოსდგამს ძალადობა, აგრესია, სხვისი დაჩაგვრის სურვილი, და ა.შ. პოლიტიკა კი არის ხელოვნური ფენომენი, ის გულისხმობს კულტურას იმ თვალსაზრისით, რომ ის ჩვენს ცხოველურ ინსტიქტებს ბოჭავს. პოლიტიკა - როგორც სისტემა - არის ძალაუფლებისთვის ბრძოლა. პოლიტიკის მთავარი კოდი ძალაუფლებაა, პოლიტიკური კულტურა კი ძალაუფლებისთვის ბრძოლის წესებს გულისხმობს.

ემზარ ჯგერენაიას თქმით, ამა თუ იმ ერის პოლიტიკური კულტურა მისი წარსულითაა განსაზღვრული. დემოკრატიის მშენებლობაში ის სწორედ საკუთარ წარსულს ეყრდნობა. საქართველოს შემთხვევაში, მისი აზრით, ვერ მოხდა წარმატებით დემოკრატიის დაკავშირება შესაბამის კულტურულ მემკვიდრეობაზე, ამიტომაც არ გვაქვს არსებითი პროგრესი და ამ დრომდე გვიჭირს სიმწიფის მდგომარეობის მიღწევა.

პოლიტიკის ანალიტიკოსის, **დავით ზურაბიშვილის** შეფასებით, პოლიტიკური კულტურა თამაშის წესებს გულისხმობს, იმას, თუ რა არის მისაღები და რა მიუღებელი. მისი თქმით, უკანასკნელ 30 წელიწადში, საჯარო სფეროში, გარკვეული პროგრესი შესამჩნევია, რაც გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, თანამედროვე საქართველოში ადამიანები საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრობენ. თუმცა, მანვე დასძინა, რომ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი რამ, რაც ქართულ პოლიტიკაში 'მისაღები' არ არის. პრაქტიკულად, არ არსებობს ისეთი საქციელი, რის ჩადენის გამოც პოლიტიკოსი საზოგადოებისთვის მისაღები აღარ იქნება აღარასოდეს - დროთა განმავლობაში ყველაფერი დავიწყებას მიეცემა ხოლმე.

საკითხის განსხვავებული გაგება შემოიტანა ფილოსოფოსმა **ზაზა ფირალიშვილმა.** მისი განმარტებით, კულტურა იმ პირობითობათა სისტემაა, რომელსაც ვიცავთ საკომუნიკაციო მატრიცის აგების დროს. როდესაც ჩვენ ვიკრიბებით და ვქმნით ჩვენს საკომუნიკაციო ველს, რომელშიც ვიწყებთ მოძრაობას, ვიცავთ რაღაც პირობითობის სისტემას. არსებითია ის, რომ საზოგადოების წევრობისთვის აუცილებელია ამ საკომუნიკაციო მატრიცის დაცვა. საქართველოს შემთხვევაში, პირობითობათა სისტემა და დემოკრატია ერთმანეთთან თანხვედრაში არ არიან. თანამშრომლობისა და დიალოგის კულტურა, რაც დემოკრატიისთვისაა დამახასითებელი, ჩვენს პირობითობის სისტემაში ვერ შემოდის. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის საქციელი ხშირად საკუთარივე

დავით ზურაბიშვილი და ზაზა ფირალიშვილი

თავთანაა წინააღმდეგობაში. ადამიანს ესმის, რომ რაღაც ტიპის ქცევა არასწორია, მაგრამ მაინც ასე იქცევა. მაგალითად, არჩევნებზე ხმის მიცემის სანაცვლოდ იღებს 5 კილო კარტოფილს. მან იცის, რომ ამგვარი საქციელი არასწორია, მაგრამ სხვანაირად რომ მოიქცეს, მას ვერ გაუგებენ, არა-კონტექსტუალური აღმოჩნდება არსებულ საკომუნიკაციო მატრიცაში.

მისი თქმით, ამ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა კავშირში ადამიანი მრავალმხრივ იყო უზრუნველყოფილი, მათ შორის სასიცოცხლო გარემოთი, იდეოლოგიით, და ა.შ. თუმცა მას წართმეული ჰქონდა პასუხისმგებლობა იმ სამყაროზე, რომელშიც ის ცხოვრობდა. პოსტ-საბჭოთა ადამიანს, მათ შორის საქართველოში, მიეცა საშუალება დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში თავად შექმნას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი გარემო და აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. თუმცა, ის კატეგორიულად უარს ამბობს პასუხისმგებლობის კისრებაზე და ამის ნაცვლად ეძებს ბელადს, ვისაც ამ პასუხისმგებლობას გადასცემს. ზაზა ფირალიშვილის თქმით, როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ კულტურასა და დემოკრატიაზე, მთავარი პრობლემა არის ის, რომ როგორმე ჩვენს საკომუნიკაციო სივრცეში შემოვიდეს პასუხისგებლობა იმ სამყაროს გამო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი გენერალური პირობითობა. ეს თუ შემოვიდა, დემოკრატია თავისთავად გამოვა.

კულტურასა და პოლიტიკას შორის საინტერესო კავშირზე მიუთითა სტრატეგიული აზროვნების სპეციალისტმა **ნიკო მელიქაძემ.** მისი თქმით, თანაცხოვრება, ჩამოყალიბებულ ურთი-ერთობათა სისტემაა, რომელიც იმ ადამიანთა შორის არსებობს, რომელიც ამ სოციუმს ქმნის. ურთიერთობათა მდგრადი სისტემა იგივე სოციალური წესრიგია. ეს ურთიერთობები მდგრადი უნდა იყოს. მდგრადობას კი ორი წყარო აქვს - ერთია კულტურა, ის რაც სოციუმში იდენტობას განსაზღვრავს, მათ შორის ჩვევები. მისი აზრით, ეს არის მოცემული ბუნებით, რომელშიც ის ისტორიული წინაპირობაა, რომლითაც ეს თუ ის საზოგადოება ყალიბდება. მეორე არის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მიზანდასახულ აქტს, რომ შეცვალო ის,

ნიკო მელიქაძე

რაც მიუღებელია. ეს ორი მდგენელი, რომელიც სოციუმის, ანუ პოლიტიკის საგნის მდგრადობას უზრუნველყოფს, თანაარსებობს ერთი სოციუმის ტანში. მათ შორს არის ურთიერთქმედება. იმისთვის, რომ აღნიშნული მოწესრიგდეს,

ადამიანმა ასეთი ინსტრუმენტი - კონსტიტუცია - მოიგონა. კონსტიტუცია კულტურის პოლიტიკაში თარგმნას წარმოადგენს.

საუბრისას მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა პოლიტიკის მეცნიერმა **დავით აფრასიძემ.** მან ყურადღება გაამახვილა პოლიტიკურ კულტურასა და ინსტიტუტებს შორის კავშირზე. მისი თქმით, საკითხავია, რომელს უფრო დიდი გავლენა აქვს ქცევაზე - პოლიტიკურ კულტურას თუ ინსტიტუტებს. ამასთანავე, გამოსარკვევია, თუ როგორ და რამდენად ცვლიან ინსტიტუტები პოლიტიკურ კულტურას. მისი თქმით, კულტურა ცვალებადია და მისი გადაკეთება/ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ელიტებს შორის თუნდაც შემთხვევითმა ინსტიტუციურმა შეთანხმებამ. იმის საჩვენებლად, თუ როგორ ზემოქმედებენ ინსტიტუტები ქცევის ფორმებზე, და უფრო ზოგადად კულტურაზე, მან ავტომანქანის ღვედების მაგალითი მოიყვანა. ღვედების გამოყენების აუცილებლობაზე შემოღებულმა ახალმა წესებმა აიძულა ადამიანები და გარკვეული დროის მერე, შეაჩვია კიდეც ღვედის გაკეთებას. ასევე შეიძლება მოხდეს სხვა შემთხვევებშიც.

პოლიტიკურ კულტურაზე საუბრისას ხაზი გაესვა იმას, რომ ავტორიტარულ სახელმწიფოებსაც გააჩნიათ შესაბამისი პოლიტიკური კულტურა და რომ მნიშვნელოვანი სხვაობაა დემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელ პოლიტიკურ კულტურებს შორის. ავტორიტარული ტიპის რეჟიმებისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს ძლიერი ლიდერებისადმი რწმენის არსებობა, უცხოსადმი ეჭვი, უნდობლობა, განსხვავებულის მიუღებლობა. თუმცა, აღნიშნულზე გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველო ნაკლებად მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც მსგავსი პოლიტიკური კულტურა არსებობს. **გია ნოდიას** თქმით, რეჟიმის ტიპის მსგავსად საქართველოს პოლიტიკური კულტურა ჰიბრიდულია. თუკი რამ პოზიტიური შეიძლება ითქვას, არის ის რომ საქართველოში ხელისუფლების/ავტორიტეტების გამოწვევის უნარი და ნება არსებობს. ამაზე მეტყველებს ის, რომ 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში საზოგადოებამ რამდენიმეჯერ შეძლო ხელისუფლების შეცვლა. მაგრამ ამასთანავე, დემოკრატია მოითხოვს მის პატივისცემასაც, რათა შესაძლებელი იყოს წესრიგი. ჩვენ პოლიტიკურ კულტურაში ნაკლებად ხდება ამ ორის შეხამება.

დისკუსიისას საუბარი ასევე შეეხო ნდობის ფენომენს, რომელთან დაკავშირებითაც, ზოგადად, გარკვეული ამბივალენტური დამოკიდებულება არსებობს. ერთი მხრივ, იმისთვის, რომ დემოკრატიული საზოგადოება არსებობდეს, საჭიროა ნდობა როგორც ხელისუფლების და ინსტიტუტებისადმი, ისე მოქალაქეებს შორის. თუმცა, ამასთანავე, დემოკრატია, საჭიროებს უნდობლობისა და ეჭვის მუდმივ არსებობასაც. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უნდობლობა, განსაკუთრებით ხელისუფლებების მიმართ, რათა მათ არ გამოიყენონ ძალაუფლება საზოგადოებისთვის საზიანოდ.

დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, საქართველოს საზოგადოება დაბალი ნდობით ხასიათდება, დაბალია სოციალური კაპიტალი, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვანი ხელშემშლელია. ძალიან მკაფიოდაა გამოხატული უნდობლობა პოლიტიკური პარტიების მიმართ. ასევე ნაკლებია ნდობა იდეებისადმი, რაც ხელს უშლის ერთიანი ძალისხმევით და თანამშრომლობით სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმეების განხორციელებას. რიგ შემთხვევაში, ვხვდებით ნდობას ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. თუმცა, როგორც **ემზარ ჯგერენაიამ** განმარტა, ამგვარი ნდობა მადესტაბილიზირებელია. ამგვარ ფენომენს აუცილებლად მოსდევს გაწბილება და სიძულვილი. თუმცა, მონაწილეებმა ასევე შენიშნეს, რომ მოქალაქეებს შორის ნდობის კუთხით არის გარკვეული პოზიტიური ძვრებიც, რაც უმთავრესად გამოხატულია ეგრეთ წოდებული ,,crowdfunding"-ის შემთხვევებით - მოქალაქეები საკუთარ ფინანსებს პირადი სარგებლის გარეშე რიცხავენ სხვადასხვა ფონდებში კონკრეტულ თემებზე დასახარჯად.

საუბრის მეორე ნაწილი მოქალაქეობის ფენომენს შეეხო, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკური კულტურის ცნებას. ერთმანეთისგან გაიმიჯნა ფორმალური მოქალაქეობის მქონე ადამიანისა და კარგი მოქალაქის ცნებები. **ემზარ ჯგერენაიას** შეფასებით, ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, მიუკერძოებელი, ავტონომიურობის თვითცნობიერებით, ტოლერანტობის განცდითა და სხვების ავტონომიურობის პატივისცემით, რომელიც ასევე მზად უნდა იყოს დაიცვას სხვისი უფლებები და ავტონომიურობა. აღნიშნული თვისების - ავტონომიურობის - მნიშვნელობას ასევე ხაზი გაუსვა **დავით აფრასიძემ,** თუმცა მისი თქმით, არანაკლები მნიშვნელობა ეკონომიურ ავტონომიურობას ენიჭება. საქართველოში, ძალიან ბევრი ადამიანი, პირდაპირი ან ირიბი გზით დამოკიდებულია სახელმწიფოზე, საბიუჯეტო ფულზე, რაც უარყოფითად აისახება მათ უფრო ფართო ავტონომიურობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.

კარგ მოქალაქეზე საუბრისას **გია ნოდიამ** ყურადღება პატრიოტიზმზე გაამახვილა. მან მოიშველია მონტესკიე, რომლის მიხედვითაც, პატრიოტიზმი მთავარი სიქველეა, რომელიც დემოკრატიაში მცხოვრებ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. პატრიოტიზმი ნიშნავს იმის გაგებას, რომ სამოქალაქო სივრცე მოქალაქეს ეკუთვნის და როგორი იქნება ის, დამოკიდებულია უშუალოდ მის ძალისხმევაზე. პატრიოტიზმი, ავტომატურად არ ნიშნავს დემოკრატიის შესაფერის მოქალაქეობას. თუმცა, ის ამის აუცილებელი წინაპირობაა.

სანდრო მეგრელიშვილი

კარგი მოქალაქეობა ასევე მოიცავს, ერთი მხრივ, მოვალეობის განცდას და მეორე მხრივ, ინიციატივიანობას. აგრეთვე, კერძო და საჯარო სივრცის გამიჯვნას. სწორედ ამ ორის აღრევას ვაწყდებით ტოტალიტარულ/ფაშისტურ სისტემებში. ლიბერალურ დემოკრატიებში კი მათ შორის მკაფიო ზღვარი არსებობს.

ზაზა ფირალიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ განსხვავება უბრალოდ მოქალაქესა და კარგ მოქალაქეს შორის არსებითია. მისი თქმით, პირველი არის ის ადამიანი, რომელსაც ათვისებული აქვს ალგორითმების გარკვეული სისტემა, რომლის მიხედვითაც იქცევა იმ საკომუნიკაციო მატრიცაში, რომელშიც ის მოხვდა. რაც შეეხება კარგ მოქალაქეს, ის თავად მონაწილეობს ამ ალგორითმების სისტემის შექმნის პროცესში, და ამიტომაც ის მოქალაქეთა სხვა კატეგორიას

ეკუთვნის. ის უფრო მეტად მოაზროვნეა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგი მოქალაქის იდეა საბჭოთა კავშირის საქართველოშიც არსებობდა, თუმცა მაშინ მას უფრო მეტად ინტელიგენტს ეძახდნენ. კარგი ინტელიგენტი კარგი მოქალაქეა, რომელიც ზნეობრივი პოზიციიდან ცდილობს მოქცევას, და სხვებთან დამოკიდებულებასაც შესაბამისად აყალიბებს.

საინტერესოა, რომ კარგი მოქალაქე ნეგატიურ მახასიათებლებსაც უნდა მოიცავდეს. **ემზარ ჯგერენაიას** თქმით, დემოკრატიულ საზოგადოებში კარგი მოქალაქეობა გულისხმობს დისიდენტობასაც და უნდობლობას, და გარკვეულწილად მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში, საჯაროდ ამხილოს სხვა მოქალაქე ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერ საქციელში.

გია ნოდია

დისკუსიის დასკვნით ნაწილში, საუბარი შეეხო იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება და დემოკრატიული სისტემისთვის შესაბამისი მოქალაქეობის ხელშეწყობა. ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ პროცესში ძალადობრივი გზა წამგებიანია. ძალით ახალი ადამიანის გამოძერწვა, ეგრეთ წოდებული 'სოციალური ინჟინერია', მათი აზრით, არც ეთიკურად არის გამართლებული და არც პრაქტიკული თვალსაზრისით. ის კონტრ-პროდუქტიულია. აქვე, **გია ნოდიამ** შენიშნა, რომ თავად ლიბერალური ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ასპექტებში შეიძლება დაძაბულობაში მოდიოდეს ადამიანთან, არსებითად, ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და ადამიანის ბუნების გარკვეული გაგებიდან ამოდის.

გია ნოდიასვე თქმით, დემოკრატიის სწავლა მხოლოდ პროცესში შეიძლება. ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის პირობებში, მათ შორის შეზღუდული დემოკრატიის პირობებშიც კი, შესაძლებელია დემოკრატიული ქცევების განვითარება. 'ცურვის სწავლა შეიძლება მხოლოდ ცურვით'. ამ პროცესში, მან ხაზი გაუსვა, რომ დიდი როლი პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ, რომლებიც პოლიტიკურ პროცესს ქმნიან. ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელიც დემოკრატიის და დემოკრატიული ღირებულებების ფესვგადგმის გარანტი არ არის, თუმცა მისი წინაპირობაა.

ყურადღება ასევე გამახვილდა დემოკრატიის წარსულ მემკვიდრეობასთან კავშირზე (იხ. ზემოთ ე. ჯგერენაიას მოსაზრება ამავე საკითხზე). ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ ნებისმიერ ეროვნულ კულტურაში შესაძლებელია დემოკრატიის საფუძვლების პოვნა, თუ არსებობს შესაბამისი პოლიტიკური ნება. **ზაზა ფირალიშვილის** თქმით, რელიგიური შემწყნარებლობა საქართველოში დაპირისპირების საგნად გადაიქცა, მაშინ როდესაც არსებობდა ალავერდობის ფენომენი, რომლის დროსაც მუსლიმები და ქრისტიანები ერთად დღესასწაულობდნენ. ქართულ არქეტიპულ სისტემაში ასეთი ელემენტები დევს, თუმცა, ჩვენ უფრო მეტად ისინი უცხო ფორმებით შემოვიტანეთ, რომელიც არ მიიღო საზოგადოებამ. უფრო მეტად ფორმების პრობლემასთან გვაქვს საქმე. მის დასაძლევად, საჭიროა მოვძებნოთ ის ფორმები, რომელიც ჩვენსავე ტრადიციაში დევს და მათ დავეყრდნოთ. **დავით აფრასიძემ** ასევე დაუმატა, რომ შესაძლებელია ევროპული ლინგვისტიკის ქართულით ჩანაცვლება, რაც მას უფრო მეტად ბუნებრივს გახდის. საჭიროა წარსულიდან იმ არტეფაქტების წამოწევა,

რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობ-ის იდეის მხარდამჭერია.

დავით აფრასიძე

წამოჭრილი პრობლემის დაძლევის პროცესში, ექსპერტების აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას, რომელიც ამ ეტაპისთვის საზოგადოების ფუნდა-მენტურ გამოწვევას წარმოადგენს. **ზაზა ფირალიშვილის** თქმით, ბოლშევიზმმა სკოლებში გაანადგურა ცოდნის საზრისი. აუცილებელია სწორედ საზრისის დაბრუ-ნება. **დავით ზურაბიშვილმა** ასევე დაუმატა, რომ ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა მასწავლებლებს და სახელმძღვანელოებს აქვთ. პროცესის გამოსწორება კარგ მასწავლებლებსა და სახელმძღვანელოებს მოითხოვს. ამას-თან, დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს ეკლესიის უდიდეს გავლენაზე და მის პოტენციურად დადებით როლზე. **ემზარ ჯგერენაიას** თქმით, საჭიროა თეოლოგია, რომელიც ადამიანის უფლებებს და დემოკრატიულ ღირებულებებს ქრისტი-ანობას დაუკავშირებს. დედამიწაზე სამართლიანობის დამყარების იდეა თანხვედრაშია ქრისტიანობასთან და სწორედ ამ საკითხების წინ წამოწევა უნდა მოხდეს.

ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური კულტურა დემოკრატიის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ეს არის იმ ღირებულებებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომლებიც საჯარო სივრცეში ქცევას ეხება. საქართველოში, პრობლემა უფრო მეტად ქცევით ჩვევებში გვაქვს, და ნაკლებად ღირებულებებში. საზოგადოების უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ დემოკრატია უნდა გვქონდეს, არჩევნები უნდა ტარდებოდეს, სიტყვის თავის-უფლება დაცული უნდა იყოს და ა.შ. მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ ჩვევებიც შესაბამისია. სწორედ ეს უკანასკნელია პრობლემური და დემოკრატიასთან შეუსაბამო;

- საქართველოს პოლიტიკური კულტურის გამოწვევები უკავშირდება საბჭოთა წარსულს. საბჭოთა კავშირში ადამიანი მრავალმხრივ იყო უზრუნველყოფილი, მათ შორის სასიცოცხლო გარემოთი და იდეოლოგიით. თუმცა მას წართმეული ჰქონდა პასუხისმგებლობა იმ სამყაროზე რომელშიც ის ცხოვრობდა. პოსტ-საბჭოთა ადამიანს, მათ შორის საქართველოში, მიეცა საშუალება დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში თავად შექმნას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი გარემო და აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. თუმცა, ის კატეგორიულად უარს ამბობს პასუხისმგებლობის კისრებაზე და ამის ნაცვლად ეძებს ბელადს ვისაც ამ პასუხისმგებლობას გადასცემს. მთავარი პრობლემა არის ის, რომ როგორმე ჩვენს საკომუნიკაციო სივრცეში შემოვიდეს პასუხისგებლობა იმ სამყაროს გამო რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი გენერალური პირობითობა. ეს თუ შემოვიდა, დემოკრატია თავისთავად გამოვა;

- მისი რეჟიმის ტიპი მსგავსად, საქართველოს პოლიტიკური კულტურაც ჰიბრიდულია. საქართველოში ხელისუფლების/ავტორიტეტების [authority] გამოწვევის უნარი და ნება არსებობს. ამაზე მეტყველებს ის, რომ 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში

საზოგადოებამ რამდენიმეჯერ შეძლო ხელისუფლების შეცვლა. მაგრამ ამასთანავე, დემოკრატია მოითხოვს მის (ხელისუფლების/ავტორიტეტების) პატივისცემასაც, რათა შესაძლებელი იყოს წესრიგი. ამის შეხამება ნაკლებად ხდება;

- საქართვლოს საზოგადოება დაბალი ნდობით ხასიათდება, დაბალია სოციალური კაპიტალი, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვანი ხელშემშლელია. მათ შორის, ძალიან მკაფიოდაა გამოხატული უნდობლობა პოლიტიკური პარტიების მიმართ. ასევე ნაკლებია ნდობა იდეებისადმი, რაც ხელს უშლის ერთიანი ძალისხმევით, თანამშრომლობით, სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმეების განხორციელებას;

- განსხვავება ფორმალურ მოქალაქეობასა და კარგ მოქალაქეობას შორის არსებითია. კარგი მოქალაქისთვის დამახასიათებელია პატრიოტიზმი, პასუხის-მგებლობის ქონა, მიუკერძოებლობა, ავტონომიურობა, ტოლერანტობის განცდა, სხვების ავტონომიურობის პატივისცემა, კერძო და საჯარო სივრცის გამიჯვნა;

- კარგი მოქალაქეობა ნეგატიურ მახასიათებლებსაც მოიცავს. დემოკრატიულ საზოგადოებში კარგი მოქალაქეობა გულისხმობს დისიდენტობასაც და უნდობლო-ბას, და გარკვეულწილად მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში საჯაროდ ამხილოს სხვა მოქალაქე ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერ საქციელში;

- კარგი მოქალაქეობის ფენომენი ქართული ტრადიციისთვის უცხო არ არის. მოქალაქის იდეა საბჭოთა კავშირის საქართველოშიც არსებობდა, თუმცა მაშინ მას უფრო მეტად ინტელიგენტს ეძახდნენ. კარგი ინტელიგენტი კარგი მოქალაქეა, რომელიც ზნეობრივი პოზიციიდან ცდილობს მოქცევას, და სხვებთან დამოკიდებულებასაც შესაბამისად აყალიბებს;

- დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დასანერგად ძალისმიერი მეთოდები გაუმართლებელი და კონტრპროდუქტიულია. დემოკრატიის სწავლა მხოლოდ პროცესში შეიძლება. ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის პირობებში, მათ შორის შეზღუდული დემოკრატიის პირობებშიც კი, შესაძლებელია დემოკრატიული ქცევების განვითარება. 'ცურვის სწავლა შეიძლება მხოლოდ ცურ-ვით'. ამ პროცესში, დიდი როლი პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ, რომლებიც პოლიტიკურ პროცესს ქმნიან. ასევე, წამყვანი ფუნქცია აქვთ ეკლესიასა და სკოლას;

- ამა თუ იმ ერის პოლიტიკური კულტურა მისი წარსულითაა განსაზღვრული. დემოკრატიის მშენებლობა სწორედ წარსულს ეყრდნობა. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ ეროვნულ კულტურაში შესაძლებელია დემოკრატიის საფუძვლების პოვნა, თუ შესაბამისი პოლიტიკური ნება არსებობს. საქართველოს ამ დრომდე ვერ მოხდა წარმატებით დემოკრატიის მიბმა კულტურის რაიმე მემკვიდრეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ტრადიციები არსებობს.

დანართი N1

„მე თავგადასავალში მივდივარ!“

ლიკა ხორავას ესე – ,,მე თავგადასავალში მივდივარ“ – არის 2022 წელს განხორციელებული პროექტის - დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა საქართველოში – ფარგლებში მოქალაქეობის თემაზე ჩატარებული ესეების კონკურის გამარჯვებული. პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში.

„მე თავგადასავალში მივდივარ!“

შორეული შაირში, სადაც თავგადასავლების მოშიში ჰობიტები მშვიდად ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ, უეცრად, მწვანე კარიან სოროს ეზოში მჯდარ პატარა კაცუნას, რომელიც უშფოთველად აბოლებდა ჩიბუხს, დიდი მოულოდნელობა დაატყდა თავს - მას მშვიდობიანი დილა უსურვეს! ეს პატარა არსება რას წარმოიდგენდა მაშინ, რომ თავის „გადამღლელ“ რუტინას, რომელიც მუდამ შუადღის ჩაის, სამხარსა და სადილს დასტრიალებდა დრაკონებთან ბრძოლას არჩევდა, მაგრამ ასეც ხდება! არ ვიცი, ბილბო ბეგინსს ჰქონდა თუ არა წაკითხული ილია ჭავჭავაძის სიტყვები : „ადამიანი თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ - კაცად იცხოვროს და აცხოვროს მისი შთამომავალი.“ - თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ის ხომ ადამიანიც კი არ იყო! სამაგიეროდ, ის პირველი ჰობიტი გახდა ისტორიაში, რომელმაც ბოსტნის მარგვლისა და მომარგვლულით სუფრის გაშლისგან თავი ასწია, დასძლია თავისი ლტოლვა კომფორტული, მშვიდი ცხოვრებისკენ და თქვა : „მე თავგადასავალში მივდივარ!“.

„თავგადასავალში წასვლა“ კი ჰობიტისთვის პატარა საქმე არ არის! ეს მეგობრებთან ერთად უბრალო ლაშქრობა ნუ გგონიათ! თავგადასავალში წასვლა ნიშანია იმისა, რომ ჰობიტმა თავის სიცოცხლეში რაღაც მნიშვნელოვანი ჩაიდინა... მნიშვნელოვანი, ანუ, ისეთი რამ მისი სიცოცხლის დასრულების შემდეგაც დიდხანს, რომ იცოცხლებს.

სინამდვილეში, ყველა ადამიანი ბუნებით ჰობიტია, რომელიც თან დაატარებს ჭიდილს არჩევანთა შორის: შეინარჩუნოს თავისი უშფოთველი ცხოვრების წესით გამოწვეული კომფორტი თუ ადგეს და თავგადასავალში წავიდეს.

ლაშქრობაში სიარული, რომ არ არის ეს კი გავარკვიეთ უკვე, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გკითხავთ: თქვენ რა გგონიათ, რა არის „თავგადასავალში წასვლა“?

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ - არა! არა მგონია ილიას ეს სიტყვები მაინც ჰქონოდა ბილბო ბეგინსს თვალმოკრული.

წლებმა და საუკუნეებმა ბევრი რამე გამოიცვალეს თავისთან ერთად, მაგრამ ერთი რამ, რაც მტკიცედ იდგა ყველა ცივილიზაციის ცენტრში არის ურთიერთგადაჯაჭვული ადამიანი და საზოგადოება. ამ თავად ფუნდამენტური ჯაჭვის ფუნდამენტი მაშინ ჩაისახა, როცა პირველ ადამიანს პირველი მეზობელი გამოუჩნდა გვერდით. მას შემდეგ, მათ უსაშველოდ დიდი გზა გამოიარეს იქამდე, სანამ ათენში ბორცვის თავზე დასხდებოდნენ საბჭოდ და კიდევ უფრო უსაშველოდ დიდი, სანამ იგივეს პარალმენტის სხდომათა დარბაზში გააკეთებდნენ... არა, არა, აქ იმაზე საუბარი და იმის თაყვანისცემა არ მინდა, რასაც თქვენ ფიქრობთ! მხოლოდ იმაზე ვისაუბრებ, რომ „ ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!“ და იმაზე, რომ იმ წუთიდან, როცა პირველ ადამიანს პირველი მეზობელი დაუსახლდა გვერდით ამ პირველი ადამიანის გარჯის ნირმა ნირი იცვალა. ცუდი, რაც მოსულმა დამართა დამხვედრს ის

იყო, რომ ნარჩენებისთვის თავისუფალი ადგილები ოდნავ შეუმცირა და მოსროლამდე ცოტა გონების დაძაბვა გახდა საჭირო... თუმცა, თუკი აქამდე პირველ მეზობელს მხეცებისთვის მახეების დაგება მარტოს უწევდა, ახლა ამ საქმეში მეტი ხელი და მეტი იარაღი ჰქონდა! შემდეგ ბევრი მეზობელი მოვიდა... მეზობლების ზრდამ უფრო და უფრო შეამცირა თავისუფალი ადგილები, მაგრამ მეტი ხელი და იარაღი გაჩნდა, რასაც ბევრი კარგი საქმე მოჰყვა თან... ამგვარად, კაცობრიობის თოთოობის პერიოდში, პლანეტის სხვადასხვა წერტილში პირველი საზოგადოებები ერთმანეთს ფეხის ადგმას ასწრებდნენ.

საზოგადოების წევრად ყოფნა პიროვნებისთვის პირველი „ბორ-კილია“, რადგან საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი ვალდებულებები სდევს თან - ყველა ვალდებულება კი, თავის მხრივ, „ბორკილია“. მარტივი თემური წყობილებიდან მოყოლებული დიდ სახელმწიფოებრივ ცხოვრება-მდე ადამიანი საზოგადოების ნაწილია, ანუ, მარტო არ არის... ანუ, კარგი ან ცუდი მარტო მისთვის აღარ ხდება... ეგ კი არა, საქმე იქამდეც მიდის, რომ „ შეიძლება შეგრცხვეს კაცს, მარტო შენ თუ იქნები ბედნიერი“ და ამიტომაცაა, რომ წყლის პირას დაღვრილი ცრემლების საპოვნელად მეფეები თავიანთ საუკეთესო ვაზირებს გზავნიან ქვეყნიერების ზურგზე საძებნად. აჰჰ! არ გეგონოთ, რომ ეს ამბავი მთლად ადამიანის ზნე კეთილშობილებაზეა - არა! რაც აქ სჭარბობს ეს ადამიანის ემპირიული დასკვნები უფროა, რომ მისი ალაყაფის კარები, რაც არ უნდა მტკიცე იყოს მტრის წინაშე ვერაფერი ძალაა თუ მტერს ქალაქის გალავანი უკვე გადმოლახული აქვს. შესაბამისად, ადამიანის პირველი საზრუნავი არა საკუთარი სახლის, არამედ იმ ქალაქის კარიბჭის გამაგრებით უნდა დაიწყოს, სადაც სახლი აუშენებია.

მოქალაქეობა... იმ ეპოქაში, სადაც ბავშვები სამოქალაქო განათლებას სკოლებში სწავლობენ ამ სიტყვამ თითქოს ფასი დაკარგა. ალბათ, ის ფაქტი, რომ ახალი თაობისთვის სამოქალაქო განათლების სკოლაში სწავლების აუცილებლობა ვიღაც კომპეტენტურმა დაინახა და საჭიროდ ჩათვალა ნიშანია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეები გაჭირდა. არა, მოქალაქეები არ ვართ ყველა?! მაგრამ აი ისეთი - ნამდვილი. მე რომ ის კომპეტენტური პირი ვიყო, სკოლაში იმ დაზუთხულ თეორიების ნაცვლად, თუ რა არის მოქალაქეობა, რა როლი აქვს პიროვნების აქტიურ ჩართულო-ბას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების არჩევნების გზით დაკომპლექტებაში მონაწილეობაში და ა.შ. - ჭეშმარიტ მოქალაქეებს ვასწავლიდი... რადგან ადამიანი და მით უფრო, ბავშვი უფრო ბევრს სწავლობს კონკრეტული სახისგან, ვიდრე ფურცელზე უსასრულოდ გაშლილი წინადადებე-ბისგან. წარმოიდგინე, შედიხარ გაკვეთილზე და იწყებ:

- სალამი ბავშვებო! დღევანდელი ჩვენი გაკვეთილის თემაა - მოქალაქეობა. აბა, რა იცით მოქალაქეობის შესახებ?
- ...
  - (წიგნის ფურცვლის ხმები)
  - ...
  - გასაგებია! მოდით, დახურეთ წიგნები და მომისმინეთ: დღეს მინდა ერთი ადამიანის შესახებ მოგიყვეთ, ის დაიბადა 1843 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში, მისი სახელია - ნიკო ნიკოლაძე.

ან შევცვალოთ, რა პრობლემაა!

- დღეს მინდა ერთი ადამიანი გაგაცნოთ, რომელიც სოფელ ყვარელში დაიბადა, მისი სახელია - ილია ჭავჭავაძე და სამწუხაროდ, მისი ნაწარმოებები ბილბო ბეგინსს წაკითხული არ აქვს.

  ანდაც, კიდევ უფრო უკან ჩავიჩოჩოთ...

- ბავშვებო, დღეს ჩვენ სულხან-საბა ორბელიანთან ერთად საფრანგეთში წავალთ...

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის ისტორია იმდენად ღრმა და ფართოა, რომ სასწავლო მასალა ნამდვილად არ დაილევა. თანაც, ისეთი მადლიანი მასალაა, როგორც კახური ვაზის გამოტანილი მტევანი - ერთ კაცზე ასი და ათასი საქვეყნო, უკაცრავად , სამოქალაქო საქმე მოდის...

მაინც, ამ ერთხელაც და საბოლოოდ შეგეკითხებით: თქვენ რა გგონიათ, რა არის „თავგადასავალში წასვლა“?

ამქვეყნად, ადამიანისთვის ყველაზე დიდ თავგადასავალში წასვლა ის ნაბიჯია, როდესაც ის ჭეშმარიტ მოქალაქედ ყოფნის გზას დაადგება და სოფლის საქმე მისთვის საკუთარის ტოლფასი გახდება... რადგანაც სოფელი ცალკეულთაგან გამომეტებული თუდნაც ერთი აგურის გარეშე არ შენდება... და, კიდევ, „რადგანაც კაცნი გვქვიან - შვილნი სოფლისა...“

ზუსტი შინაარსი ან საზომი მოქალაქეობას არ აქვს... მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ტვირთი ჭეშმარიტი მოქალაქეების ზურგზე გადადიოდა, თუმცა მოქალაქეობის სახელით მათ მიერ გაწეულ საქმეს შორის თვალი ყოველთვის როდი დაარქმევდა საარაკო გმირობის. სინამდვილეში, ჭეშმარიტი მოქალაქეობის საქმე ყველაზე ჩვეულებრივ რამეებში ვლინდება და ყველაზე უჩვეულო ადგილას - საკუთარ საცხოვრისში წყდება... აკი, ვაჟაც ადამიანში პატრიოტიზმის მთავარ დასაბამად იმ სოფელსა ან დაბაზე მიგვითითებს, სადაც ის დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

„თავგადასავალში წასვლას“ დიდი სიმამაცე სჭირდება, მისგან ყველაზე მეტი წილი კი ადამიანის მიერ საკუთარი ხელობის პატიოსნად აღსრულებას მიაქვს. „ყოველ-დღიური შრომა იყო ყველაზე სარწმუნო“ - დიახ! ჭეშმარიტი მოქალაქეობა სწორედ ყოველდღიური შრომით იწყება, „სხვა დანარჩენი კი ბეწვზე ჰკიდია და უმნიშვნელო მოძრაობაზეა დამოკიდებული. ბეწვს კი ვერ მოეკიდები. მთავარია, კარგად აკეთო შენი საქმე“, თუნდაც ირგვლივ „შავი ჭირი“ მძვინვარებდეს და ერთი ექიმის შრომა, რომელმაც იცის „რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება“ უსუსურად ჩანდეს მისი საზარლობის წინაშე.

კარგად უნდა აკეთო შენი საქმე...

რადგანაც ყველაზე განწირულის სულისკვეთებაც კი არ ჩაივლის ცუდ-ად...

და, რადგანაც „მოდის თოვლი ცეცხლის შემდეგ და დრაკონებსაც კი აქვთ დასასრული“.

პოლიტიკური კულტურის პრობლემები საქართველოში

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზების ძიება